

ს/ს კორ სტანდარტ ბანკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	5
2. შედგენის საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	176
5. ფული და ფულის ექვივალენტები	17
6. კლიენტზე გაცემული სესხები	18
7. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	19
8. შენობები და მოწყობილობები.....	20
9. გუდვილი	231
10. სხვა არამატერიალური აქტივები	241
11. გადასახადები.....	242
12. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.....	რრორ! ოკმარკ ნოტ დეფინედ.3
13. სხვა აქტივები და ვალდებულებები.....	263
14. ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე.....	274
15. ვალდებულებები კლიენტების წინაშე.....	274
16. სუბორდინირებული ვალი	285
17. სააქციო კაპიტალი	285
18. პირობითი ვალდებულებები	286
19. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები.....	296
20. შემოსავლები და ხარჯები გასამრჯელოდან და საკომისიოებიდან.....	26
21. სხვა საოპერაციო შემოსავლები	27
22. პერსონალის, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	27
23. რისკების მართვა	28
24. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	34
25. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვალიანობის ანალიზი	395
26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	35
27. კაპიტალის ადეკვატურობა	36

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს კორ სტანდარდ ბანკის-ს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ სს კორ სტანდარდ ბანკის-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში “ჯგუფი”) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კერძოდ კი 2011 წლის 31 დეკემბრით არსებული ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი შენიშვნების მიმოხილვა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს: უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ ვაღდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ ეთიკური ნორმების დაცვას, აგრეთვე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმის გარანტია, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამოიხატება მტკიცებულების მოპოვებაზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და მონაცემების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ მექანიზმებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე. ხსენებული პროცედურები გულისხმობს ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შეფასებას. აუდიტი მოიცავს ისევე როგორც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემოწმებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მამტიცებელი საბუთები საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნის წარდგენისათვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნა</i>	2011	2010
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	41,946	29,856
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში		18,648	5,294
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	186,873	149,159
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	8,824	2,704
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	8	16,168	17,565
გუდვილი	9	20,374	20,374
სხვა არამატერიალური აქტივები	10	8,922	10,677
სხვა ფინანსური აქტივები		209	177
სხვა აქტივები	11	305	-
სულ აქტივები	12	672	1,528
	13	4,749	2,021
		307,690	239,355
ვალდებულებები			
ვალდებულებები ფინანსური ინსტიტუტების წინაშე			
ვალდებულებები კლიენტების წინაშე			
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	14	279	2,801
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	15	218,658	175,371
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11	-	436
სხვა ვალდებულებები	12	1,283	795
სუბორდინირებული ვალი	13	59	53
სულ ვალდებულებები	16	8,408	8,924
		228,687	188,380
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17		
აკუმულირებული ზარალი		99,516	75,000
სულ კაპიტალი		(20,513)	(24,025)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		79,003	50,975
		307,690	239,355

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს სახელით

გიორგი ღლონტი

გენერალური დირექტორი

გიორგი ჟიჟილაშვილი

ფინანსური დირექტორი

3 აპრილი 2012

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	<i>შენიშ- ნები</i>	<i>2011</i>	<i>2010</i>
საპროცენტო შემოსავალი		36,943	35,574
საპროცენტო ხარჯი		(17,292)	(17,710)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	19	19,651	17,864
სესხების გაუფასურების რეზერვის ამობრუნება/(ხარჯი)	6	(1,845)	25
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების რეზერვის შემდგომ		17,806	17,889
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან	20	4,740	3,873
წმინდა შემოსავლები უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან		2,210	2,019
სხვა შემოსავალი	21	242	565
წმინდა მოგება საკურსო სხვაობებიდან		(4)	42
სხვა არასაპროცენტო შემოსავალი		7,188	6,499
ხარჯი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან	20	(2,804)	(3,051)
პერსონალის ხარჯები	22	(8,745)	(8,777)
ცეცხა და ამორტიზაცია	8,10	(4,680)	(5,117)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(5,995)	(6,372)
სხვა არასაპროცენტო ხარჯი		(22,224)	(23,317)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,770	1,071
სარგებელი მოგების გადასახადიდან	11	741	(468)
წლიური მოგება/(ზარალი)		3,511	603
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)		3,511	603

თანდართული შენიშვნები წარმოდგენილი წინამდებარე 5-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილს

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	აკუმულირებ		
	საწესდებო კაპიტალი	ული ზარალი	სულ კაპიტალი
2009 წლის 31 დეკემბერი	75,000	(24,628)	50,372
წლის სრული მოგება	-	603	603
2010 წლის 31 დეკემბერი	75,000	(24,025)	50,975
წლის სრული მოგება	-	3,512	3,512
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (შენიშვნა 17)	24,516	-	24,516
2011 წლის 31 დეკემბერი	99,516	(20,513)	79,003

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	<i>შენიშ- ვნები</i>	2011	2010
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		38,110	36,616
გადახდილი პროცენტი		(17,433)	(17,187)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი		4,740	3,873
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი		(2,804)	(3,020)
უცხოური ვალუტის ვაჭრობიდან წმინდა რეალიზებული მოგება		2,210	2,019
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		243	565
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(8,745)	(8,777)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(5,788)	(5,905)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		10,533	8,184
წმინდა კლება/(ზრდა) სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებში		(14,508)	1,069
წმინდა ზრდა კლიენტებზე გაცემულ სესხებში		(51,158)	(14,619)
წმინდა კლება სხვა ფინანსურ აქტივებში		2,973	(1,235)
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში		287	75
წმინდა კლება/(ზრდა) ვალდებულებებში საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე		(2,465)	(8,605)
წმინდა კლება/(ზრდა) კლიენტების წინაშე		50,072	(1,045)
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა ფინანსურ ვალდებულებებში		266	447
წმინდა კლება/(ზრდა) სხვა ვალდებულებებში		12	(332)
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან დაბერვამდე		(3,988)	(16,061)
		-	(114)
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,988)	(16,175)
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		(6,091)	(2,649)
შენიშნა-ნაგებობებისა და მოწყობილობების შესყიდვა	8	(1,860)	(2,374)
შენიშნა-ნაგებობების და მოწყობილობების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი	8	437	137
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	10	(31)	(520)
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		(7,545)	(5,406)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		24,516	17,871
ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		24,516	17,871
ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა		(893)	51
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა მოძრაობა		12,090	(3,659)
ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისი	5	29,856	33,515
ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	5	41,946	29,856

თანდართული შენიშვნები წარმოდგენილი წინამდებარე 5-36 გვერდებზე წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილს

(ათასი ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

სს სტანდარტ ბანკმა (შემდგომში მოხსენიებული როგორც “ბანკი”) საქმიანობა დაიწყო 2008 წლის 6 მარტს სს სტანდარტ ბანკისა აქციების 100% შესყიდვის შემდეგ. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2008 წლის 25 თებერვალს გამოცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბანკი იღებს დეპოზიტებს მოსახლეობისგან და გასცემს კრედიტს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, აწარმოებს სავალუტო გაცვლით ოპერაციებს და თავის კომერციულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს სხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს აქვს 19 საოპერაციო ფილიალი საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2010: 22). ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან წამებულის მოედანი №3.

31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციებს ფლობენ შემდეგი აქციონერები:

აქციონერი	2011 %	2010 %
შეის ნაჰიან მაბარაკ ალ ნაჰიან	45%	45%
შეის ჰამდან ბინ ზაიედ ალ ნეჰიან	20%	20%
შეის მოჰამედ ბუტტი ალ ჰამედ	15%	15%
შეის მანსორ ბინ სულთან ალ ნეჰიან	15%	15%
შ.პ.ს “ინვესტმენტ თრეიდინგ გრუპი”	5%	5%
სულ	100%	100%

ჯგუფი საბოლოოდ კონტროლდება შეის ნაჰიან მაბარაკ ალ ნაჰიანის მიერ.

2. შედგენის საფუძველი

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” (შემდეგში მოხსენიებული როგორც „ფასს”) შესაბამისად.

ზედამხედველობის მიზნებისათვის ბანკსა და მის შვილობილ კომპანიას (შემდეგში “ჯგუფი”) მოეთხოვებათ ჩანაწერების წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება ქართულ ლარში საქართველოს აღრიცხვისა და საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის და თანმდევი ინსტრუქციების შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია ჯგუფის ჩანაწერებზე, შემდგომში შესწორებული და რეკლასიფიცირებული “ფასს”-ის შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, გარდა ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისა, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებით აღრიცხვაზე.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

შვილობილ კომპანია

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ პირდაპირ დაქვემდებარებულ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი კომპანია	დაფუძნების ქვეყანა	ჯგუფის მფლობელობა %		დაფუძნების თარიღი	ოპერაციების ტიპი
		2011	2010		
ს/ს სტანდარტ დაზღვევა	საქართველო	100%	100%	29 სექტემბერი 2007	სადაზღვევო საქმიანობა

(ათასი ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემდეგი ახალი “ფასს” და “სფასს” ინტერპრეტაციები. ძირითადი ცვლილებების შედეგები იხილეთ ქვემოთ:

ბასს 24 “დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები” (კორექტირებული)

2009 წლის ნოემბერში გამოშვებული კორექტირებული ბასს 24 ამარტივებს განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს სამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული საწარმოებისათვის და გაწერს დაკავშირებული მხარის განმარტებას. წინა პერიოდში, საწარმო, რომელიც ექვემდებარებოდა სამთავრობო ორგანოების კონტროლს ან განიცდიდა მნიშვნელოვან გავლენას მათი მხრიდან, ვალდებული იყო წარმოედგინა ინფორმაცია ყველა ოპერაციაზე ანალოგიური კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა საწარმოებთან. კორექტირებული სტანდარტი მოითხოვს ამგვარი ოპერაციების განმარტებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არსებითია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. კორექტირებული ბასს 24 ძალაშია 2011 წლის 1 იანვრს დაწყებული წლიური პერიოდისთვის. შემდგომი წლიური პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრეული მიღებაც. ამ ცვლილებას არ ჰქონია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რამეთუ ჯგუფი არ არის მთავრობასთან დაკავშირებული ორგანიზაცია.

ცვლილებები ბასს 32–ში „ფინანსური ინსტრუმენტები: უფლებათა გაცემის კლასიფიკაცია“

2009 წლის ოქტომბერში, ბასს-ს საბჭომ გამოსცა შესწორებები ბასს 32-ში. ორგანიზაციებმა აღნიშნულ შესწორება უნდა გამოიყენონ წლიური პერიოდებისათვის 2010 წლია 1 თებერვლიდან. შესწორება ცვლის ფინანსური ვალდებულების განმარტებას ბასს 32-ში, რათა მოახდინოს უფლებათა გაცემის კლასიფიცირება და გარკვეული ვატიანტები, თუ გარანტიები, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტები. ეს შეეხება იმ შემთხვევაში, თუ უფლებები მიეცემა პროპორციულად ორგანიზაციის არა-წარმოებული კაპიტალის ინსტრუმენტების ყველა ერთი და იმავე კლასის არსებულ მფლობელს, რათა შეიძინონ ორგანიზაციის საკუთარი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობა ფიქსირებული თანხით ნებისმიერ ვალუტაში. შესწორებას ზემოქმედება არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19 “ფინანსური ვალდებულებების დაფარვა კაპიტალის ინსტრუმენტებით”

ფასს ინტერპრეტაცია 19 გამოშვებული იქნა 2009 წლის ნოემბერში და ძალაშია ერთწლიან პერიოდში, რომელიც იწყება 2010 წლის 1 ივლისს, ან მის შემდეგ. ინტერპრეტაცია განმარტავს საბუღალტრო აღრიცხვას, როდესაც ფინანსური ვალდებულების ვადების ხელახლა განხილვა ხდება და მას შედეგად მოჰყვება ორგანიზაციის მიერ კაპიტალის ინსტრუმენტის გაცემა კრედიტორისადმი, რათა მთლიანად ან ნაწილობრივ დაფაროს ფინანსური ვალდებულება. აღნიშნულ ვალდებულებას ზემოქმედება არმოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს-ების სრულყოფა

2010 წლის მაისში საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა სტანდარტების დამატებების შესახებ კრებული, ძირითადად უზუსტობების აღმოსაფხვრელად და უფრო ზუსტი ფორმულირებისთვის. ცვლილებების უმეტესი ნაწილი ძალაშია 2011 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდისთვის. თითოეული სტანდარტისთვის გათვალისწინებულია გარდამავალი პირობები. შემდეგ ცვლილებებს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობაზე გავლენა არ მოუხდენია.

- ფასს 3 ბიზნეს კომბინაციები: ხელდავს შეფასების არჩევანის მოცულობას, მასზე რომ მხოლოდ NCI-ს კომპონენტები, რომლებიც წარმოადგენენ მფლობელობის ინტერესებს, რაც უფლებას ანიჭებს მათ მფლობელებს, პროპორციულად მოახდინოს ორგანიზაციის წმინდა აქტივების წილის გადანაწილება, ლიკვიდაციის შემთხვევაში, შეფასებული უნდა იქნას ან სამართლიანი ღირებულებით, ან არსებული საკუთრების ინსტრუმენტების წილის პროპორციულად შესაძენის დადგენილ წმინდა აქტივებში.
- ფასს 7 – ფინანსური ინსტრუმენტები: გახსნები; შემოაქვს შესწორებები რაოდენობრივ და საკრედიტო რისკის გახსნებში. დამატებით მოთხოვნები მცირე ზემოქმედებას ახდენენ, რამეთუ ინფორმაცია ხელმისაწვდომია.
- სხვა შესწორებები ფასს 1, ფასს 3, ბასს 1, ბასს 27, ბასს 34 და ფასს 13-ში.
- ფასს 1 პირველად მიღებული მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები – შეზღუდული გათავისუფლება შდარებით ფასს 7 –ის გახსნებისაგან პირველად მიღებულებისათვის.
- ფასს 14 დაფინანსების პირველადი მოთხოვნების წინასწარი დაფარვები.

კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები არის ის სამეურნეო სუბიექტები, რომელთა საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტ წილს ბანკი ფლობს ხმის უფლებით. ანუ მას აქვს უფლება განახორციელოს ამ ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლი. შვილობილი კომპანიების ანგარიშები ბანკის ანგარიშგებაში არის

(ათასი ლარი)

კონსოლიდირებული იმ დღიდან როცა კონტროლი ბანკის ხელში გადავიდა და შეწყდებოდა მათი კონსოლიდაცია იმ დღიდან, როცა ბანკი მათზე კონტროლის უფლებას დაკარგავს. ჯგუფის შიდა ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგები (შემოსავალ-ხარჯები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტრანზაქცია ასახავს აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის მიზნით სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში შეიღობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება მშობელ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

შეიღობილი კომპანიის მფლობელობის წილის ცვლილება, თუკი იგი არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც კაპიტალის ტრანზაქცია. ზარალი მიეწერება არაკონტროლირებად წილს, მაშინაც კი თუკი ამის შედეგად ბალანსი ასახავს ზარალს.

თუკი ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შეიღობილ კომპანიაზე, მაშინ ის ჩამოწერს შეიღობილი კომპანიის კუთვნილ აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, არაკონტროლირებადი წილის საბალანსო ღირებულებას, კაპიტალში ასახულ აკუმულირებულ კურსთაშორის სხვაობას; აღიარებს მიღებული გასამრჯელოს სამართლიან ღირებულებას, შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერ სიჭარბეს ან დეფიციტს მოგებას ან ზარალში და ახდენს მფლობელი კომპანიის იმ კომპონენტების წილის რეკლასიფიცირებას მოგებასა და ზარალში, რომელიც მანამდე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში.

ბიზნეს გაერთიანებები

ბიზნესის გაერთიანებები აღირიცხება შესყიდვის მეთოდის გამოყენებით. შესყიდვის ღირებულება განისაზღვრება როგორც გაღებული გასამრჯელოსა, რომელიც იზომება შესყიდვის თარიღზე სამართლიანი ღირებულებით და შესყიდული კომპანიის არაკონტროლირებადი წილის აგრეგირებული ღირებულება. თითოეული ბიზნესის კომბინაციისთვის, მიღებული კომპანია განსაზღვრავს შესყიდული კომპანიის არაკონტროლირებადი წილის ღირებულებას ან სამართლიანი ღირებულების პრინციპით, ან შესყიდული კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად გადანაწილების გზით. კომპანიის შესყიდვასთან დაკავშირებული აღირიცხება ზარადად.

როცა ჯგუფი იძენს ბიზნესს, ის აფასებს კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ნაგულისხმევაა შესყიდვის თარიღზე სწორი კლასიფიკაციისა და მითითებისთვის შესაბამისად კონტრაქტის პირობებისა, ეკონომიკური მდგომარეობისა და სათანადო მდგომარეობისა. ის მოიცავს შესყიდული კომპანიის მიერ ხელშეკრულებებში ჩადებული დერივატივების გამოცალკევებას.

თუკი ბიზნესის კომბინაცია ხორციელდება ეტაპობრივად, შესყიდვის თარიღზე ხელახლა განისაზღვრება მიღებული შესყიდულ კომპანიაში მანამდე ფლობილი კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება და განსხვავება აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ნებისმიერი პირობითი გასამრჯელო რომელიც უნდა გასცეს მიღებულმა კომპანიამ აღირიცხება შესყიდვის თარიღზე სამართლიანი ღირებულებით. შემდგომი ცვლილებები პირობითი გასამრჯელოს სამართლიან ღირებულებაში, რომელიც ითვლება, რომ არის აქტივი ან ვალდებულება, აღიარებულ იქნება ბანს 39-ის შესაბამისად, ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ან როგორც ცვლილება სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში თუ პირობითი გასამრჯელო კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი, მაშინ მისი ხელახალი გადაფასება არ ხდება მანამდე, სანამ არ მოხდება მისი კაპიტალში აღიარება.

გუდვილი თავდაპირველად ფასდება ღირებულებით, რომელიც არის გაღებულ გასამრჯელოსა და ჯგუფის იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებსა და ნაგულისხმევი ვალდებულებებს შორის სხვაობა. თუკი ეს გასამრჯელო ნაკლებია შესყიდული შეიღობილი კომპანიის წმინდა აქტივებზე, ეს სხვაობა აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ გუდვილი აისახება თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ბიზნეს გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვილი, შესყიდვის თარიღიდან მოყოლებული გადანაწილებულია ჯგუფის თითოეულ ფულის მაგანერირებელ დანაყოფზე, რომლებიც, მოსალოდნელია, რომ გერთიანების შედეგად მოიტანენ სარგებელს, იმის მიუხედავად, შესყიდული კომპანიის სხვა აქტივები ან ვალდებულებები მიეკუთვნებათ მათ თუ არა.

იქ, სადაც გუდვილი შეადგენს ფულის მაგანერირებელი დანაყოფის ნაწილს, მასში ოპერაციების შეწყვეტიდან მიღებული მოგებისა ან ზარალის სწორად გამოსათვლელად გავითვალისწინება ამ ოპერაციის მიმდინარე საბალანსო ღირებულება. ასეთ სიტუაციაში ჩამოწერილი გუდვილი იზომება შეწყვეტილი ოპერაციისა და შენარჩუნებული ფულის მაგანერირებელი დანაყოფის შესაბამისი ღირებულებების პროპორციულად.

ფინანსური აქტივები

*(ათასი ლარი)**თავდაპირველი აღიარება*

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადაძლე ფლობილ ფასიან ქაღალდებზე და თუ გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ და შემდგომში შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ჩვეულებრივი წესით გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების ჩვეულებრივი წესით შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდებიან როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, როდესაც ჯგუფს შესწევს მათი დაფარვის ვადამდე ფლობის უნარი და აქვს მათი დაფარვის ვადამდე ფლობის განზრახვა. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ინვესტიციები ვადამდე შენარჩუნებად ფასიან ქაღალდებში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინვესტიციის გაუფასურებისას, აგრეთვე, ამორტიზაციის პროცესში.

სესხები და დებიტორული დავალიანება

სესხები და დებიტორული დავალიანება არის აქტიურ ბაზარზე არაკოტირებული არა-ნაწარმოები ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება/ზარალის უწყისში, იმ შემთხვევაში თუ სესხები და დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება ან გაუფასურდება, ასევე ამორტიზების შედეგად.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან დილერის მიერ შეთავაზებული ფასით (შეთავაზებული ფასი გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნილი ფასი მოკლე პოზიციაზე), ტრანზაქციის ხარჯების გამოკლების გარეშე.

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, რომელთაცოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდების გამოყენებით. ამგვარი მეთოდი მოიცავს წმინდა მიმდინარე ღირებულების დადგენის ტექნიკას, მსგავსი ინსტრუმენტების ფასის შედარება შესაბამისი საბაზრო გარემოებების გათვალისწინებით და სხვა შეფასების მეთოდების გამოყენებას.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა და წმინდა თანხის ასახვა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი წმინდა ღირებულებით წარმოდგენის შესახებ ან სურვილი აქტივის გაყიდვის იმგვარი პირობებისა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებების გაქვითვას გულისხმობს. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

(ათასი ლარი)

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნებისაგან ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკის სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის არ მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, არ აისახება როგორც ფულისა და ფულის ექვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების მიმოქცევის უწყისის მიზნებისათვის.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ფულადი ან სხვაგვარი ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ბანკი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მეანაბრების მიმართ და სუბორდინირებულ სესხებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით მინუს პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

საოპერაციო იჯარა – ჯგუფი როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთა მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ყოველ საანგარიშგებო თარიღზე განსახილვრავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გაელენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსახილვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა შეიცავდეს ისეთ მნიშვნელებს, როგორებიცაა: მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად, ინდივიდუალურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი აქტივისთვის, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების ჯგუფში.

(ათასი ლარი)

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი და ყველა უზრუნველყოფა იქნა რეალიზებული ან ჯგუფისთვის გადაცემული. თუ შემდეგ წელს გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუკი ჩამოწერილი თანხები შემდეგ იქნა ამოღებული, ეს თანხები კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისში აისახება.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გაანჩია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დასაკუთრებული უზრუნველყოფიდან, რომელსაც აკლდება უზრუნველყოფის დასაკუთრებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის დასაკუთრება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ჯგუფის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახული იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (ისეთებს, როგორებიცაა უმუშევრობის დონის ცვლილება, უძრავი ქონების ფასები, პირველადი მოხმარების საქონლის ფასები, გადახდების სტატუსი, ან სხვა ფაქტორები, რომლებიც მიგვიჩვენებს ჯგუფში მომხდარ ზარალზე ან ზარალის მასშტაბზე). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები იხსნება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ერთსა და იმავე კრედიტორთან ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისათვის ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ ასეთი საფუძველი არსებობს, მაშინ გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის მიმდინარე ღირებულებასა და ამ აქტივისგან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ (დადისკონტირებულ) ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება და ზარალი აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ათასი ლარი)

თუ შემდეგ წელს შესაძლო გაუფასურების ზარალი მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი დაკრედიტდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ფინანსური ინვესტიციებისათვის ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ინვესტიციის თუ ინვესტიციათა ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველი.

გასაყიდად არსებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ობიექტური საფუძველი მოიცავს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან გრძელვადიან შემცირებას. თუ არსებობს გაუფასურების საფუძველი, აკუმულირებული ზარალი, (რომელიც შეფასებულია როგორც სხვაობა შესყიდვის ღირებულებასა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მინუს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული ინვესტიციის გაუფასურების ზარალი) ამოღებულია სხვა შემოსავლების მუხლიდან და აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კაპიტალის ინვესტიციების გაუფასურების ზარალის შებრუნება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების გავლით არ ხდება; გაუფასურების შემდგომ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება.

გასაყიდად არსებული სასესხო ინსტრუმენტების შემთხვევაში, გაუფასურების შეფასება ხდება იმავე კრიტერიუმებით, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში. სამომავლო საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და ირიცხება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის. საპროცენტო შემოსავალი აღრიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ შემდგომ პერიოდში სავალდებულო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ზრდა შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოვლენას, გაუფასურების ზარალის შებრუნება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

რესტრუქტურული ხესხები

როცა შესაძლებელია, ჯგუფი ცდილობს ხესხების რესტრუქტურირებას უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად. ეს შესაძლოა შესრულდეს გადახდის პერიოდის გაგრძელების და ხესხის ახალი პირობებზე შეთანხმების გზით.

ასეთი რესტრუქტურირების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი შემდეგია:

- თუ ხესხის ვალუტა იცვლება, მაშინ ხდება ძველი ხესხის აღიარების შეწყვეტა და აღიარდება ახალი ხესხი.
- თუ ხესხის რესტრუქტურირაცია არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებს ჯგუფი იყენებს ისეთსავე მიდგომას, როგორც ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.
- თუ ხესხის რესტრუქტურირაცია უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებს და ხესხი გაუფასურებულია რესტრუქტურირაციის შემდეგ, ჯგუფი აღიარებს სხვაობას ახალი ფულადი ნაკადების დღევანდელ (დადისკონტირებულ) ღირებულებასა (დადისკონტირებული საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) და მიმდინარე ღირებულებას შორის რესტრუქტურირებამდე როგორც მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯს. იმ შემთხვევაში, თუ ხესხი არ არის გაუფასურებული რესტრუქტურირაციის შემდეგ, ჯგუფი ხელახლა ითვლის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

პირობების ხელახლა შეთანხმების შემდეგ, ვალი აღარ ითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა პერიოდულად გადახედავს რესტრუქტურირებულ ხესხებს, რომ დარწმუნდნენ, რომ ყველა კრიტერიუმი სრულდება და რომ ყველა სამომავლო გადახდა სავარაუდოა, რომ შესრულდება. ასეთ ხესხებს კვლავაც ეხება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად გაუფასურების შეფასება, რომელის გამოთვლაც წარმოებს ხესხის პირველადი ან მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის ვადა;
- ჯგუფმა გადასცა აქტივისაგან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

(ათასი ლარი)

- ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გაანხივავს გადაცემული აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება უმცირესით, საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი დ/ან შექნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები იხსნება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ერთსა და იმავე კრედიტორთან ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ჯგუფმა დაისაკუთრა გადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. თავიდან, მიღებისას, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შეტანილია შენობებსა და დანადგარებში, სხვა ფინანსურ აქტივებსა ან ინვენტარში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ჯგუფის განზრახვას ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივი შემდგომში ახლიდან არის გაზომილი და აღრიცხულია აქტივის კლასის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

კრედიტთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

ჯგუფი გასცემს კრედიტთან დაკავშირებულ გარანტიებს, რომლებიც შეიცავს აკრედიტივებსა და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს შეუბრუნებელ რწმუნებას გადასახდების განხორციელებისა იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულების დაფარვას მესამე პირისადმი (პირებისადმი). ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორც სესხები. ფინანსური გარანტიები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, დამოწმებულია მიღებული საკომისიო თანხის ოდენობით. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით, პირობითი ვალდებულების არსებობის განმავლობაში, იმ პირობითი ვალდებულებების გარდა, რომლებიც წარმოშობს სესხებს, თუ სავარაუდოა, რომ ჯგუფი სპეციფიკურ სესხებს მოაწოდებს და არ დააპირებს ამ სესხის გაყიდვას წარმოშობის თარიღიდან მოკლე პერიოდში; ასეთი სესხის საკომისიო თანხები გადავადებულია და შეტანილია სესხის მიმდინარე ღირებულებაში თავდაპირველი აღიარებისას. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, პირობითი ვალდებულებები განისაზღვრება, როგორც უდიდესი (ა) დარჩენილ არაამორტიზებულ ბალანსსა (იმ თანხიდან რომლის აღიარებაც მოხდა თავდაპირველად) და (ბ) საუკეთესო ვარაუდი იმ ხარჯისა, რომელიც დაჭირდება პირობითი ვალდებულების გასტუმრებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადი

საშემოსავლო გადასახადები გათვალისწინებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებულია, ან შემდგომში იქნება ამოქმედებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. საშემოსავლო გადასახადი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და მისი აღიარება ხდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი აღიარება ხდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან პირდაპირ კაპიტალში, რამეთუ იგი დაკავშირებულია ტრანსაქციებთან, რომლებიც აგრეთვე აღიარებულია იმავე, ან სხვა პერიოდში, სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან პირდაპირ კაპიტალში.

(ათასი ლარი)

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს, ან ამოღებული იქნას საგადასახადო სამსახურისაგან დასაბეგრავ მოგებასა, თუ ზარალთან მიმართებაში მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის. დასაბეგრი მოგება, თუ ზარალი ემყარება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება მოხდა შესაბამისი საგადასახადო ამონაგებების შევსების წინ. გადასახადების, გარდა საშემოსავლის, გატარება ხდება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი უზრუნველყოფილია საბალანსო ვალდებულების მეთოდით საგადასახადო ზარალის გადატანებით და დროებითი სხვაობებით, რაც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახო საფუძვლიდან და მათი მიმდინარე თანხებიდან ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარების გათავისუფლების შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ დაფიქსირდება დროებითი სხვაობებისათვის აქტივისა, თუ ვალდებულების საწყის აღიარებაზე ტრანზაქციაში, გარდა ბიზნეს კომბინაციისა, თუ ტრანზაქცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, ზემოქმედებას არ ახდენს არც საბუღალტრო და არც დასაბეგრი მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები განისაზღვრება საგადასახადო ტარიფებით, რომლებიც ამოქმედებულია, ან შემდგომში ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოიყენება იმ პერიოდში, როდესაც დროებითი სხვაობები შებრუნდება, ან საგადასახადო დანაკარგების გადატანები გამოყენებულ იქნება.

გადავადებული მოგების გადასახადი გათვალისწინებულია შექმნის შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაში და სხვა შექმნის შემდგომ მოძრაობებში შეიღობილი კომპანიების რეზერვებში, გარდა იმისა, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს კომპანიის სადივიდენდო პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ სხვაობა არ გარდაიქმნება დივიდენდების საშუალებით, ან სხვაგვარად იქნება გათვალისწინებული მომავალში.

შენობა-ნაგებობები და დანადგარები

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობა აღრიცხულია საბალანსო ღირებულებით მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

მცირე რემონტისა და ექსპლოატაციის დანახარჯები აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში ხარჯად ამ ხარჯების გაწვევისას. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ძირითადი ნაწილების, თუ კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება, შეცვლილი ნაწილები კი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განსაზღვრავს, არის თუ არა შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, მენეჯმენტი განსაზღვრავს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც უფრო მაღალი: აქტივის სამართლიან ღირებულებას მინუს სარეალიზაციო ხარჯებსა და მისი მიმდინარე ღირებულებას შორის. მიმდინარე თანხა შემცირდება ამოღებად თანხამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარებული იქნება მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შეტრიალდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ან სამართლიან ღირებულებას მინუს სარეალიზაციო ხარჯები.

შემოსავლები და ზარალი გაყიდვისას, რომლებიც განისაზღვრება გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების შედარებით მიმდინარე ღირებულებასთან, აღიარდება მოგება ზარალში.

მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება. შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების სხვა ნაწილების ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ღირებულების განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი გამოანგარიშებული საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში:

	<u>საექსპლუატაციო პერიოდი (წლები)</u>
შენობა-ნაგებობები	25
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	5
საიჯარო გაუმჯობესებანი	5 - 10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის გამოანგარიშებული თანხა, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღება აქტივების გაყიდვით, მინუს გაყიდვის მიახლოებითი ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ ხნისაა და იმ პირობებშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი საექსპლუატაციო პერიოდის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და საექსპლუატაციო პერიოდი განიხილება და მოხდება მისი შესწორება საჭიროებისამებრ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გუდივილი

გუდივილი არის ნამეტი გადახდილ ღირებულებასა და შესყიდვის თარიღზე შესყიდული შეიღობილი ან ასოცირებული კომპანიის წმინდა აქტივების, პასივების და პირობითი ვალდებულებების სამართლიან

(ათასი ლარი)

ღირებულებას შორის. შვილობილი კომპანიის შექმნისას წარმოქმნილი გუდვილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე ასოცირებული კომპანიის შექმნის შედეგად წარმოქმნილი გუდვილი შედის კომპანიაში ინვესტიციის ღირებულებაში. გუდვილის მიმდინარე ღირებულება განისაზღვრება როგორც თავდაპირველ ღირებულებას მინუს აკუმულირებული გაუფასურების ზარალი, თუკი ეს უკანასკნელი არსებობს.

ჯგუფი ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტს სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილი გაუფასურების შესაძლო ინდიკატორი. გუდვილი ნაწილდება ფულის მაგენერირებელ დანაყოფებზე, ან ასეთი დანაყოფების ჯგუფებზე, რომლებიც, სავარაუდოა, რომ ბიზნეს გაერთიანებიდან წარმოქმნილი სინერგიის შედეგად სარგებელს მიიღებენ. ასეთი დანაყოფები, ან დანაყოფთა ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ჯგუფი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი უნდა აღებატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ოპერაციის შეწყვეტიდან მიღებული მოგების/ზარალის სწორად გათვალისწინება ამ ოპერაციის მიმდინარე ღირებულებაზე პროპორციულად გადანაწილებული გუდვილის თანხა. ასეთ სიტუაციაში ჩამოწერილი გუდვილი იზომება შეწყვეტილი/გაყიდული ოპერაციისა და შენარჩუნებული ფულის მაგენერირებელი დანაყოფის შესაბამისი ღირებულებების პროპორციულად.

სხვა არამატერიალური აქტივები

ბანკის ყველა არამატერიალურ აქტივს, გარდა გუდვილისა, გააჩნია განსაზღვრული საექსპლუატაციო პერიოდი.

შექმნილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზირება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. კაპიტალიზირებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია ხდება წრფივი ამორტიზაციის მეთოდით საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში სამ წლის განმავლობაში.

ბიზნეს კომბინაციის შედეგად წარმოშობილი კლიენტებთან ურთიერთობის ღირებულება ამორტიზირდება წრფივი ამორტიზაციის მეთოდით კლიენტთან ურთიერთობის მოსალოდნელ 10 წლიან პერიოდზე.

ვალდებულებების და დაკისრებული ხარჯების რეზერვები

ვალდებულებების და დაკისრებული ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებელია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე თუ სავარაუდო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ინკრემენტალური ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები, გადასახადების გამოკლებით, ამ გამოშვებით მიღებული შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება კაპიტალში იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი განცხადება. დივიდენდები განცხადებულია როდესაც მათი შეთავაზება კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან განცხადებულია ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ყველა სავალდებულო ინსტრუმენტისათვის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. აღნიშნული მეთოდით კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილი, თუ მიღებული ყველა გასამრჯელო, რომელიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ღირებულებისა და სხვა პრემიებისა, თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს, ნაწილდება ინსტრუმენტის არსებობის პერიოდზე.

(ათასი ლარი)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

გასამრჯელოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავს წარმოშობის გასამრჯელოებს, რომლებიც მიღებულია, ან გადახდილია იმ პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შექმნასა, თუ შესყიდვასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, მაგალითად, გასამრჯელოები კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის, გარანტიების, თუ უზრუნველყოფის დარეგისტრირება და შეფასება, ინსტრუმენტის ვადებზე მოლაპარაკება და ტრანზაქციის დოკუმენტაციის დამუშავება. ჯგუფის მიერ მიღებული თანხები სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთში გასაცემად, არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ბანკი გააფორმებს სპეციფიკურ სასესხო შეთანხმებას და არ შეეცდება ამის შედეგად მიღებული სესხის რეალიზებას წარმოშობისთანავე. ჯგუფი არ აკლასიფიცირებს პირობით სასესხო ვალდებულებებს, როგორც ფინანსურ ვალდებულებას სამართლიანი ღირებულებით მოგებისა, თუ ზარალის გავლით.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით რომელიც მიესადაგება ახალ საბალანსო ღირებულებას.

ყველა სხვა გასამრჯელო, საკომისიო და თუ სხვა შემოსავალი და ხარჯები გატარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით, რეალური სერვისის საფუძველზე, შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

საკომისიოები და გასამრჯელოები, რომლებიც გამომდინარეობს მოლაპარაკების შედეგად, ან მესამე მხარის ტრანზაქციისათვის მოლაპარაკებებში მონაწილეობით, როგორცაა სესხების, აქციების, თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, ან ბიზნესების შექმნა, თუ გაყიდვა, რომლებიც მიიღება ტრანზაქციის განხორციელებით, აღირიცხება მისი დასრულებისთანავე. პორტფელური და სხვა მენეჯმენტის საკონსულტაციო და მომსახურების საკომისიოები აღიარდება შესაბამისი მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე, ჩვეულებრივ პროპორციულად კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად გარემოში, სადაც ეს ორგანიზაცია ოპერირებს. ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი.

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, ინვესტიციები კაპიტალში ჩათვლით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. კურსთაშორისი სხვაობის ცვლილების ეფექტი არამონეტარულ საშუალებებზე, რომლებიც იზომება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, ტარდება როგორც სამართლიანი ღირებულების მოგება/ზარალის ნაწილად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები 2011 და 2010 წლის 31 დეკემბერს იყო, შესაბამისად, 1.669 და 1.7728 ლარი 1 ამერიკულ დოლართან მიმართებაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის სამომავლო ცვლილებები

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“

2009 წლის ნოემბერში საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – პირველი ნაწილი. აღნიშნული სტანდარტი თანდათან შეცვლის ფასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9 ძალაში შევა 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწვებული წლიური პერიოდისათვის. ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ ეს პირველი ნაწილი საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც მთავრდება 2009 წლის 31 დეკემბერს ან მის შემდგომ. ფასს 9-ს პირველი ნაწილი წარმოვიდგენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების ახალ მოთხოვნებს. კონკრეტულად, შემდგომი შეფასებისთვის ყველა ფინანსური აქტივი უნდა იყოს კლასიფიცირებული ან ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით,

(ათასი ლარი)

რომელთაც თან ახლავს შეუბრუნებელი ოფცია, რომ კაპიტალის ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის გამოზნული სავაჭროდ, იქნას შეფასებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახეთ. ჯგუფი ამჟამად ახდენს ამ ახალი სტანდარტის მიღების შედეგის შეფასებას და ვიქრობს თავდაპირველი მიღების თარიღზე.

ფასს 10 “ფინანსური ინსტრუმენტები”

ფასს 10 აყალიბებს ერთჯერადი კონტროლის მოდელს, რაც შეეხება ყველა ორგანიზაციას. ცვლილებები, რომლებიც შემოტანილი იქნა ფასს 10-ის მიერ მენეჯმენტისაგან მოითხოვს, რომ გამოიყენოს მნიშვნელოვანი განსჯის მეთოდი, რათა მან განსაზღვროს, თუ რომელი ორგანიზაციები კონტროლდებოდეს და, შესაბამისად, მოეთხოვებათ, კონსოლიდირებულნი იყვნენ მშობლის მიერ, იმ მონაცემებთან შედარებით, რომლებიც მოცემული იყო ბას 27-ში. გარდა ამისა, ფასს 10 ახდენს სპეციფიკური გამოყენების მითითებების დანერგვას დაწესებულების ურთიერთობებისათვის.

ფასს 10 ცვლის ბას 27-ის ნაწილს: “კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშგებები”, რაც მოაწესრიგებს საბუღალტრო აღრიცხვას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის. იგი აგრეთვე მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა SIC -12-ში, კონსოლიდაცია – საგანგებო მიზნების ორგანიზაციები. იგი ძალაშია ერთწლიან პერიოდებში, რომლებიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ. ადრეული განაცხადის გაკეთება ნებადართულია. აღნიშნული ცვლილებები ვერ მოახდენენ რაიმე მატერიალურ ზემოქმედებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გამოშვებული, მაგრამ ძალაში ჯერ არ მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ფასს 11 ერთობლივი შეთანხმებები

ფასს 11 გამორიცხავს ერთობლივად კონტროლირებადი ორგანიზაციების (ეკო) გათვალისწინების ვარიანტს. ამის ნაცვლად, ის ეკო-ები, რომლებიც შეესაბამებიან ერთობლივი საწარმოს განსაზღვრებას, უნდა იყენებდნენ კაპიტალის მეთოდს. ფასს -11 ჩაანაცვლებს ბას 31-ის ინტერესებს ერთობლივ საწარმოებში და SIC -13 ერთობლივად კონტროლირებად ორგანიზაციებს – არა-ფულადი შენატანები საწარმოების მიერ და ძალაშია ყოველწლიური პერიოდებით, რომელიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ადრეული განაცხადის გაკეთება ნებადართულია. ჯგუფი იმედოვნებს, რომ ფასს 11-ის მიღება არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე.

ფასს 12 სხვა ორგანიზაციებში ინტერესების გამჟღავნება

ფასს 12 მოიცავს ყველა იმ გამჟღავნებებს, რომლებიც ადრე ბას 27-ში დაკავშირებული იყო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან, ისევე როგორც ყოველგვარო გამჟღავნებანი, რომლებიც ადრე შეტანილი იყო ბასს 31 და ბას 28-ში. ამგვარი გამჟღავნებები უკავშირდება ორგანიზაციის ინტერესებთან ფილიალებში, ერთობლივ შეთანხმებებში, დაკავშირებულ და სტრუქტურულ ორგანიზაციებში. აგრეთვე მოითხოვება გარკვეული რაოდენობით ახალი გამჟღავნებები. ფასს 12 ძალაშია ყოველწლიური პერიოდებით, რომელიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ადრეული განაცხადის გაკეთება ნებადართულია. სტანდარტის მიღება მოითხოვს ახალი გახსნების გაკეთებას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში, მაგრამ არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე.

ფასს 13 სამართლიანი ღირებულების შეფასება

ფასს 13 ქმნის მითითებების ერთჯერად წყაროს ფასს-ის მიხედვით ყოველგვარი სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის. ფასს 13 არ იცვლება, როდესაც ორგანიზაციას მოეთხოვება სამართლიანი ღირებულების გამოყენება, მაგრამ საკმარისად უზრუნველყოფს მითითებებს იმაზე, თუ როგორ მოხდეს სამართლიანი ღირებულების შეფასება ფასს-ის მიხედვით, როდესაც სამართლიანი ღირებულება მოითხოვება, ან ნებადართულია. ფასს 13 ძალაშია ყოველწლიური პერიოდებით, რომელიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ადრეული განაცხადის გაკეთება ნებადართულია. ფასს 13-ის მიღებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ჯგუფის აქტივებისა და პაივების შეფასებაზე, რაც გათვალისწინებულია სამართლიანი ღირებულებით. ამჟამად ჯგუფი აფასებს ფასს 13 მიღების ზემოქმედებას თავის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე.

ბას 27 ცალკე ფინანსური ანგარიშგებანი (განახლებული 2011 წელს)

როგორც შედეგი ახალი ფასს 10 და ფასს 12-სა, რაც კი რჩება ბას 28-დან შეზღუდულია ფილიალების, ერთობლივად კონტროლირებადი ორგანიზაციების და პარტნიორების გათვალისწინებით ცალკე ფინანსურ ანგარიშგებებში. შესწორება ძალაში შედის ყოველწლიური პერიოდებით, რომელიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. განახლებული სტანდარტის მიღება ზემოქმედებას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბას 28 ხაინვესტიციო პარტნიორები და ერთობლივი საწარმოები ((განახლებული 2011 წელს)

როგორც შედეგი ახალი ფასს 11 და ფასს 12-სა, ბას 28-ს სახელი შეეცვალა როგორც ბას 28 ხაინვესტიციო პარტნიორები და ერთობლივი საწარმოები და აღწერს კაპიტალის მეთოდის გამოყენებას, რათა მოახდინოს ინვესტირება ერთობლივ საწარმოებში, პარტნიორებთან ერთად. შესწორება ძალაში შედის ყოველწლიური

(ათასი ლარი)

პერიოდებით, რომელიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ, განახლებული სტანდარტის მიღება ზემოქმედებას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 7-ში “ფინანსური ინსტრუმენტები: გახსნები”

შესწორებები გამოიცა 2010 წლის ოქტომბერში და ძალაშია ყოველწლიური პერიოდებით, რომელიც იწყება 2011 წლის 1 ივლისის ან მის შემდეგ. შესწორებები მოითხოვს დამატებით გახსნას ფინანსური აქტივების შესახებ, რომელიც გადატანილი იქნა, მაგრამ არ მომხდარა მათი აღიარების გაუქმება, რათა საშუალება მიეცეს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელს, რათა გაეკვივოს იმ აქტივებთან ურთიერთობებში, რომელთა აღიარების გაუქმება არ მომხდარა და მათთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან. გარდა ამისა, შესწორება მოითხოვს გახსნებს ინვესტიციების გაგრძელების შესახებ არაღიარებულ აქტივებში, რათა მომხმარებელს მიეცეს საშუალება, შეაფასოს იმ არაღიარებულ აქტივებში ორგანიზაციის მუდმივ ინვესტიციების ხასიათი და მასთან დაკავშირებული რისკები. შესწორება არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორება ბას 12 “საშემოსავლო გადასახადებში” – გადავადებული გადასახადი: საბაზო აქტივების ამოღება

2010 წლის დეკემბერში ბას-ს საბჭომ გამოსცა შესწორებები ბას 12-ში, რომელიც ძალაში შედის ყოველწლიური პერიოდებით, რომელიც იწყება 2013 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. შესწორებებმა ნათელი მოჰფინეს გადავადებული გადასახადის განსაზღვრას საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით, რომლის შეფასებაც ხდება სამართლიანი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. შესწორებას შემოიტანს უარყოფელ ვარაუდს მასზე, რომ გადავადებული გადასახადი საინვესტიციო ქონებაზე, რომლის შეფასებაც ხდება სამართლიანი ღირებულების მოდელის შესაბამისად ბას 40-ში, უნდა განისაზღვროს იმის საფუძველზე, რომ მისი საბაზისო თანხა ამოღებული იქნება გაყიდვის გზით. გარდა ამისა, მას შემოაქვს მოთხოვნა მასზე, რომ გადავადებული გადასახადი არა-ამორტიზირებულ აქტივებზე, რომელთა შეფასებაც ხდება გადაფასების მოდელის გამოყენებით ბას 16-ში, ყოველთვის უნდა იქნას შეფასებული აქტივების რეალიზაციის საფუძველზე. ამჟამად ჯგუფი ახდენს აღნიშნული შესწორებების მიღების ზემოქმედებას.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც ექნება გავლენა იმ თანხებზე, რომლებიც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში და შემდეგ ფინანსურ წელს მოახდენს გავლენას აქტივების და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებაზე. დაშვებები და შეფასებები პერიოდულად ფასდება და დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე, იმ მომავალი მოვლენების შესახებ მოლოდინის ჩათვლით, რომლებიც სავარაუდოდ უნდა იყოს მნიშვნელობის მატარებელი ამ გარემოებებში. იმ დაშვებების პარალელურად, რომლებიც შეიცავენ წინასწარ შეფასებებს, მენეჯმენტი ასევე ახდენს ზოგიერთ დაშვებას, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობებს და დაშვებებს, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში ნაღიარებ თანხებზე და წინასწარ შეფასებებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებაში შემდეგ ფინანსურ წელს, შეიცავს:

სესხების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მოთხოვნების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ჯგუფის იყენებს საკუთარ შეფასებებს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ასევე ჯგუფი აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას იმ მოპოვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ, რომ არსებობს გაუარესებისკენ ცვლილება ჯგუფში მსესხებლების გადახდის სტატუსისა, ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფში აქტივების დეფოლტთან. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ჯგუფის ყურდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მოთხოვნების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების ასახვის მიზნით.

გადავადებული საგადასახადო აქტივები

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია საგადასახადო ზარალის მიმართ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღიარებული იქნება საგადასახადო მოგება, რომლის წინააღმდეგაც შესაძლებელი იქნება ზარალის გამოქვითვა. იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება უნდა მოხდეს, საჭიროა შეფასება მომავალი დასაბეგრი მოგებისა, ვადიანობისა და დონის მიხედვით, მომავალ საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგიებთან ერთად.

უზრუნველყოფის ღირებულების დადგენა

(ათასი ლარი)

მენეჯმენტი რეგულარულად ახდენს უზრუნველყოფის ღირებულების საბაზრო ფასის მონიტორინგს. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას ან დამოუკიდებელ დასკვნას, რომ მოახდინოს უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების კორექტირება, რომელიც ასახავს მიმდინარე ვითარებებს. მოთხოვნილი უზრუნველყოფის ტიპი და თანხობრივი ოდენობა დამოკიდებულია მეორე მხრის საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

დაკავშირებული მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის ნორმალურად მიმდინარეობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს საკუთარ დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობა გამოყენებულია იმ შემთხვევაში თუ განხორციელებული ტრანზაქციებისთვის არ არსებობს ატიური ბაზარი და საჭიროა იმის დასადგენა, არის თუ არა განხორციელებული ტრანზაქციები საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. მსჯელობის საფუძველი არის ასეთივე ტიპის ტრანზაქციების ფასების განსაზღვრა არადაკავშირებულ მხარეებთან და შესაბამისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარეების ბალანსების პირობები წარმოდგენილია 26-ე შენიშვნაში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გუდვილი

გუდვილი გაუფასურების განსაზღვრა ჯგუფის მიერ ხდება წელიწადში სულ მცირე ერთხელ მაინც. ამისათვის საჭიროა იმ ფულის მაგენერირებელი დანაყოფების ღირებულების განსაზღვრა, რომლებზეც გუდვილი არის მიკუთვნებული. ამ ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს ფულის მაგენერირებელი დანაყოფის მოსადლოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების გაანგარიშებას და ასევე შესაფერისი დისკონტური განაკვეთის შერჩევას ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების გამოთვლის მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმო

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა 20,513 ათასი ლარის ოდენობის დაგროვილი ზარალი, ლიკვიდურობის უარყოფითი აცდენა 1 წლის განმავლობაში (25-ე შენიშვნა), მენეჯმენტმა მოამზადა ეს ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ მსჯელობისას მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსებისადმი წვდომა.

ქვემოთ მოცემულია ქმედებები, რომლებსაც ჯგუფი მიმართავს, რათა განარძოს ჩვეულებრივი ფუნქციონირება, რაც გულისხმობს საკმარის წვდომას რესურსებისადმი, იმისათვის რომ შეძლოს ვალდებულებების გასტუმრება შესაბამის ვადებში:

- ბანკს აქვს წვდომა აგრევირებულ 45,000 ათასი ლარის (27 მილიონი ამერიკული დოლარის ეკვივალენტი) საკრედიტო ლიმიტზე საქართველოს ძირითად ლოკალურ ბანკებში. ეს თანხა არ მოიცავს სვოპებსა და სხვა მისაღებებად საშუალებებზე განსაზღვრულ ლიმიტებს. 2012 წლის დანაწიხიდან ბანკთაშორისი სესხების მოცულობა მერყეობდა 1 სა და 8 მილიონ ქართულ ლარს შორის, საშუალო საპროცენტო განაკვეთი კი ვარირებდა 4.51% სა და 6.39%-ს შორის. ადგილობრივი კომერციული ბანკების საკმაოდ მაღალი ლიკვიდურობის გამო, ბანკთაშორისი გარიგებები არ არის ძვირი და მისი მიღება შესაძლებელია 4% დან 7% მდე წლიური საპროცენტო განაკვეთით ერთი დამიდან 6 თვემდე პერიოდით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე მდგომარეობით ბანკი არ იყენებდა აღნიშნულ ლიმიტს. მენეჯმენტის რწმუნებით, ეს საკრედიტო ლიმიტები საკმარისი იქნება ლიკვიდურობის აცდენის დასაფარად 12 თვემდე პერიოდით.
 - მენეჯმენტი დარწმუნებულია, კლიენტთან ურთიერთობის ისტორიაზე დაყრდნობით, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლიენტების თანხების უმეტესი ნაწილი ინახება მოთხოვნად მიმდინარე ანგარიშებზე, ეს თანხები წარმოადგენს გრძელვადიანი სტაბილური დაფინანსების წყაროს. მიმართეთ 25-ე შენიშვნას ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზისათვის.
- 2011 წელს ბანკის მენეჯმენტმა წარმოადგინა სესხების პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებისა და კლიენტთა ანგარიშების გაზრდის ინიციატივები. თანმიმდევრული სასესხო პორტფელი და კლიენტთა

(ათასი ლარი)

ანგარიშების ზრდის შედეგად, ბანკმა მნიშვნელოვნად გაზარდა წმინდა საპროცენტო შემოსავალი და საკომისიოების შემოსავლები 2011 წელს. აღნიშნულის შედეგად ბანკმა ორმაგზე მეტად გაზარდა მოგება დაბეგვრამდე, 2010 წელთან შედარებით. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მზარდი პოზიტიული ტენდენცია გაგრძელდება მომავალში.

- 2011 წელს ჯგუფმა მიიღო დამატებითი კაპიტალის შემოდინება 24, 516 000 ლარის ოდენობით. დამატებითი კაპიტალის თანხას შედეგად მოჰყვა კაპიტალის ადექვატურობის კოეფიციენტის გაუმჯობესება, რომელიც გამოითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. ამ უკანასკნელს კი შედეგად მოჰყვა უარყოფითი ლიკვიდურობის გეპის გაუმჯობესება წელიწადში 27, 520 000 ლარამდე, თუ შევადარებთ 2010 წელს (43,239 000 ლარი). მენეჯმენტი განზრახული აქვს, ყურადღების კონცენტრირება მოახდინოს გრძელვადიანი დაფინანსების მოპოვებაზე ალტერნატიული წყაროებიდან 2012 წელს, რაც შემდგომში მოახდენს უარყოფითი გეპის აღმოფხვრას 1 წლამდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2011	2010
ნაღდი ფული	13,021	15,371
საკორესპოდენტო ანგარიშები და ერთდღიანი განთავსებები სხვა ბანკებში	3,383	3,697
ფულადი ნაშთები სებ-თან (სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების გარდა)	12,036	10,788
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით	13,506	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	41,946	29,856

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,820 ათასი ლარი (2009: 3,076) განთავსებული იყო მიმდინარე და ვადიანი სადეპოზიტო ანგარიშების სახით ეუთოს საერთაშორისოდ აღიარებულ ბანკებში, რომლებიც საერთაშორისო ოპერაციების ანგარიშსწორებისას წარმოადგენენ ჯგუფის კონტრაგენტებს.

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება:

	2011	2010
კორპორატიული სესხები	74,220	61,841
სალომბარდე სესხები	70,818	55,116
სამომხმარებლო სესხები	26,581	22,672
იპოთეკური სესხები	14,950	12,566
ფიზიკურ პირებზე-ინდემწარმეებზე გაცემული სესხები	10,885	6,317
კლიენტებზე გაცემული ჯამური სესხები	197,454	158,512
მინუს – გაუფასურების რეზერვი	(10,581)	(9,353)
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	186,873	149,159

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შედარება ტიპების მიხედვით შემდეგია:

(ათასი ლარი)

	კორპორატიული სესხები 2011	სამომხმარებლო სესხები 2011	სესხები ინდუმეწარმეებზე 2011	იპოთეკური სესხები 2011	სალომბარდე სესხები 2011	სულ 2011
2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,174	2,589	503	1,087	-	9,353
სესხის გაუფასურების ხარჯი/(ამობრუნება)	1,668	484	217	(524)	-	1,845
უწინ ჩამოწერილი სესხების აღდგენა	-	49	32	-	-	81
ჩამოწერილი სესხები	(149)	(338)	(11)	(176)	-	(674)
გაუფასურებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(5)	-	-	(19)	-	(24)
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,688	2,784	741	368	-	10,581
ინდივიდუალური გაუფასურება	5,209	2,540	515	182	-	8,446
კოლექტიური გაუფასურება	1,479	244	226	186	-	2,135
	6,688	2,784	741	368	-	10,581
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების ჯამური თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	8,908	2,811	1,734	872	-	14,325

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

	კორპორატიული სესხები 2010	სამომხმარებლო სესხები 2010	სესხები ინდუმეწარმეებზე 2010	იპოთეკური სესხები 2010	სალომბარდე სესხები 2010	სულ 2010
2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,062	2,171	2,132	466	-	10,831
წლის დანარიცხი	(465)	874	(1,084)	650	-	(25)
ამოღებები	17	-	-	-	-	17
ჩამოწერილი თანხები	(421)	(401)	(539)	(8)	-	(1,369)
აუფასურებელი სესხებზე დარიცხული პროცენტი	(19)	(55)	(6)	(21)	-	(101)
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,174	2,589	503	1,087	-	9,353
ინდივიდუალური გაუფასურება	4,321	2,231	438	871	-	7,861
კოლექტიური გაუფასურება	853	358	65	216	-	1,492
	5,174	2,589	503	1,087	-	9,353
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებულად მიჩნეული სესხების ჯამური თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	9,372	3,225	1,034	2,978	-	16,609

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, სესხებზე, რომელთათვისაც აღიარებულ იქნა ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 1,069 ლარისაგან (2010- 1,427 ლარი).

ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხების უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 16,744 ლარს (2010: 20, 717 ლარი).

(ათასი ლარი)

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- კომერციული სესხებისათვის უძრავი ქონება, სასაქონლო მატერიალური მარაგები და სავაჭრო მოთხოვნები.
- საცალო სესხებისათვის საცხოვრებელი ფართის გირაო.

ჯგუფი ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებიდან მათ შვილობილ კომპანიებთან მიმართებაში.

ჯგუფი ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს. ჯგუფმა შესაძლოა მსესხებლისგან მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფა სესხის ხელშეკრულების თანახმად. ჯგუფი ახდენს მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ფასის მონიტორინგს სესხების გაუფასურების რეზერვის აღეკვეთურობის გადახედვისას.

კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნდა სესხების კონცენტრაცია 45,773 ლარის ოდენობით გაცემული ათ უმსხვილეს მესამე მხარეზე (მთლიანი სასესხო პორტფელის 23.18%) (2010: 37500 ლარი ანუ 23.66%). აღნიშნული სესხებისათვის აღიარებულ იქნა რეზერვი მოცულობით 2,494 ლარი (2010: 2494 ლარი).

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა ვრ შუასრულ საქრთველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნა თანაფარდობაზე, “სესხი ერთ ინსაიდერზე”. კოეფიციენტი 12,46%-ის ოდენობით, მაქსიმუმ 5%-თან შედარებით, ეროვნული ბანკის მიხედვით. მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ სესხი დაიფარება 2012 წელს.

სესხები გაცემულ იქნა კლიენტების შემდეგ ტიპებზე:

	2011	2010
კერძო კომპანიები	137,785	115,440
სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი საწარმოები	8,223	3,218
ფიზიკური პირები	51,446	39,854
	197,454	158,512

სესხების ძირითადად გაიცემა საქართველოში, შემდეგ სექტორებზე:

	2011		2010	
	Amount	%	Amount	%
სალომბარდე სესხები	70,818	35.88	55,116	34.77
ვაჭრობა და მომსახურება	50,788	25.72	46,231	29.17
ფიზიკური პირები	51,446	26.05	39,854	25.14
მშენებლობა	15,879	8.04	8,795	5.55
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები	1,683	0.85	2,725	1.72
ენერჯეტიკა	58	0.03	-	-
ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები	1	0.00	36	0.02
სხვა სექტორები	6,781	3.43	5,755	3.63
	197,454	100.00	158,512	100.00

7. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები შედგება:

	2011	2010
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	4,694	2,704
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	4,130	-
დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ქაღალდები	8,824	2,704

(ათასი ლარი)

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების კონტრაქტით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთები და ვადები არის შემდეგი:

	31 December 2010		31 December 2010	
	%	Maturity	%	Maturity
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	9.42%	2012	9.42%	2012
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	11.87%	2013	--	--

8. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები

შენობა-ნაგებობებსა და მოწყობილობებში მოძრაობა შემდეგია:

მიწა	შენობა ნაგებობები	საოფისე და კომპიუტერულ მოწყობილობებში	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ფიქსირებული აქტივები	საიჯარო გაუმჯობესებელი	სულ
ღირებულება						
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						
-	11,652	2,637	902	5,191	5,135	25,517
მატება	32	418	115	77	1,175	1,860
კლება	-	-	-	(316)	(11)	(940)
გადატანა	-	1,442	-	-	(1,448)	6
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						
32	13,512	2,752	663	4,907	4,571	26,437
დაგროვილი ცვეთა						
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						
-	954	1,556	529	2,382	2,531	7,952
ცვეთის ხარჯი	-	498	546	168	1,077	2,894
კლება	-	-	-	(273)	(5)	(577)
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით						
-	1,452	2,102	424	3,454	2,837	10,269
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2010	10,698	1,081	373	2,809	2,604	17,565
31 დეკემბერი 2011	12,060	650	239	1,453	1,734	16,168

- 2011 წლის კლებები მოიცავს არა-ფულად კლებებს შენობებთან და დანადგარებთან მიმართებაში 74 ლარის ოდენობით

(ათასი ლარი)

	შენიშნა ნაგებობები	საოფისე და კომპიუტერულ მოწყობილობე ბი	სატრანსპორტ ო საშუალებები	ავეჯი და სხვა ფიქსირებული აქტივები	საიჯარო გაუმჯობესება ნი	სულ
ღირებულება						
2009 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	11,652	2,302	994	3,800	5,553	24,301
მატება	-	374	23	1,939	38	2,374
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანა	-	(39)	(115)	(149)	(855)	(1,158)
კლება	-	-	-	(399)	399	-
2010 წლის 31 დეკემბრის	11,652	2,637	902	5,191	5,135	25,517
დაგროვილი ცვეთა						
2009 წლის 31 დეკემბრის						
მდგომარეობით	486	998	362	1,509	1,675	5,030
ცვეთის ხარჯი	468	605	229	993	1,181	3,476
კლება	-	(47)	(62)	(120)	(325)	(554)
2010 წლის 31 დეკემბრის	954	1,556	529	2,382	2,531	7,952
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2009 წლის 31 დეკემბრის	11,166	1,304	632	2,291	3,878	19,271
მდგომარეობით						
2010 წლის 31 დეკემბრის	10,698	1,081	373	2,809	2,604	17,565
მდგომარეობით						

9. გუდვილი

გუდვილის გაუფასურების ტესტი

ბანკი ამჟამად წარმოადგენს ს.ს. “სტანდარტ ბანკის” ბიზნესის გაგრძელებას და შესაბამისად ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განიხილება, როგორც ერთი ფულადი სახსრების გენერირების ერთეული. გუდვილის საბალანსო ღირებულება, რომელიც განთავსებულია ფულადი სახსრების გენერირების ერთეულში, შეადგენს 20,374 ლარს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მენეჯმენტის აზრით, ბანკის შესყიდვაზე გაწეული ინვესტიცია შეესაბამება აქციონერთა გრძელვადიანი გაფართოების სტრატეგიებს რეგიონში და ს.ს. სტანდარტ ბანკის შესაძენად გადახდილი დამატებითი თანხა ეკონომიკური სარგებლის მომტანია მომავალში ხუთი წლის შემდეგ პერიოდში. შესაბამისად, ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის ანაზღაურებადი თანხა განსაზღვრულ იქნა სამომხმარებლო ღირებულების გამოთვლის საფუძველზე. ამ გამოთვლაში გამოიყენება ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი, რომელიც ემყარება ბანკის მენეჯმენტის მიერ 10 წლიან პერიოდზე დამტკიცებულ ფინანსურ ბიუჯეტს. ბანკის გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფულადი სახსრების გენერირების ერთეული ფულადი სახსრების გენერირებას მოახდენს ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ფულადი სახსრების მოძრაობის ექსტრაპოლირება ხუთი წლის შემდეგ პერიოდზე ხდება შემოსავლების მუდმივი 5%-იანი ზრდის გათვალისწინებით.

ზრდის პროცენტულობა არ აჭარბებს საშუალო გრძელვადიანი ზრდის ოდენობას იმ ბიზნეს სექტორისთვის, რომელშიც ფულადი სახსრების გენერირების ერთეული ოპერირებს.

სამომხმარებლო ღირებულების დასადგენად გამოყენებული დაშვებები, რომელთა მიმართაც ანაზღაურებადი თანხა ყველაზე მგრძობიარე იყო წარმოდგენილია ქვემოთ:

	2011	2010
ზრდის კოეფიციენტი ხუთი წლის განმავლობაში	15%	15%
ზრდის კოეფიციენტი ხუთი წლის შემდეგ	5%	5%
დისკონტირების კოეფიციენტი დაბეჭერამდე	8.8%	9.9%

ბანკის მენეჯმენტმა ბიუჯეტირებული საოპერაციო შედეგები განსაზღვრა წარსულში განხორციელებულ საქმიანობასა და ბაზრის სამომავლო ანალიზის საფუძველზე. ზრდის საშუალო შეწონილი კოეფიციენტი შეესაბამება სექტორულ კვლევებში მოცემულ პროგნოზებს.

(ათასი ლარი)

დისკონტრების კოეფიციენტები წარმოადგენს გადასახადების გადახდამდე საპროცენტო განაკვეთს და ასახავს ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს.

10. სხვა არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების მოძრაობა შემდეგია:

	<i>კლიენტთან ურთიერთობები</i>	<i>კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები</i>	<i>სულ</i>
ღირებულება			
31 დეკემბრი 2010	13,657	1,375	15,032
მატება	-	31	31
31 დეკემბრი 2011	13,657	1,406	15,063
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება			
31 დეკემბრი 2010	3,854	501	4,355
ამორტიზაციის ხარჯი	1,366	420	1,786
31 დეკემბრი 2011	5,220	921	6,141
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
31 დეკემბრი 2010	9,803	874	10,677
31 დეკემბრი 2011	8,437	485	8,922

10. სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

	<i>კლიენტთან ურთიერთობები</i>	<i>კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები</i>	<i>სულ</i>
ღირებულება			
2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,657	857	14,514
მატება	-	520	520
კლება	-	(2)	(2)
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,657	1,375	15,032
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება			
2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,488	228	2,716
ამორტიზაციის ხარჯი	1,366	275	1,641
კლება	-	(2)	(2)
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,854	501	4,355
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,169	629	11,798
2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,803	874	10,677

11. გადასახადები

(ათასი ლარი)

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება:

	2011	2010
მიდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	(32)
გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი – დროებითი განსხვავებების წარმოშობა და შეტრიალება	741	(436)
მოგების გადასახადის ხარჯი	741	(468)

მოგების გადასახადის განაკვეთი, რომელიც ეხება ჯგუფის მოგების უდიდეს ნაწილს 2011 წელს, შეადგენს 15% (2010: 15%).

ეფექტური მოგების გადასახადის განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისაგან. ქვემოთ მოცემულია მოგების გადასახადის ხარჯის შედარება ეფექტური და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთებისათვის:

	2011	2010
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	2,770	1,071
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	(416)	(161)
ცვლილება აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივში საიჯარო გაუმჯობესებანი	(129)	(204)
აუღიარებელი მომავალში გადატანილი საგადასახადო დანაკარგი საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდებიდან	1,172	-
საპროცენტო შემოსავალი რეზიდენტ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან	116	-
სხვა	49	-
საშემოსავლო გადასახადის სარგებელი(ხარჯი)	741	(468)

31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში მოიცავს:

11. გადასახადები (გაგრძელება)

	<i>მოგება ზარალის უწყისში</i>		<i>მოგება ზარალის უწყისში</i>		
	2009	2010	2010	2011	2011
გადასახადის შედეგი გამოქვეითად დროებით სხვაობაზე:					
მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალი	3,434	-	3,434	(386)	3,048
სხვა აქტივები	6	(175)	(169)	263	94
საინვესტიციო ქონება	131	(54)	77	(66)	11
მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(211)	211	-	-	-
გადასახადის შედეგი დასაბეგრ დროებით სხვაობაზე:	3,360	(18)	3,342	(189)	3,153
გაცემული სესხები	(2,402)	-	(2,402)	1,172	(1,230)
არამატერიალური აქტივები (გუდვილის ჩათვლით)	958	(18)	940	983	1,923
შენიშნული ნაგებობები და დანადგარები	(573)	(219)	(792)	(374)	(1,166)
აქციონერებისგან მისაღები თანხები	(385)	(199)	(584)	186	(398)
აქციონერებისგან მისაღები თანხები	-	-	-	(54)	(54)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(958)	(418)	(1,376)	(242)	(1,618)
გადავადებული საგადასახადო აქტივები (ვალდებულებები)	-	(436)	(436)	741	305

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ბიზნესისა და კაპიტალის დანაკარგები გადატანილი იქნება 5 წლამდე, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

(ათასი ლარი)

საგადასახადო დანაკაგების მომავალ პერიოდსი გადატანილი თანხები შეადგენს 2,049 ათას ლარს, ხოლო 990 ათასი ლარის ვადა ამოიწურება 2013 წლის 31 დეკემბერს და. შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

12. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები შედგება:

	2011	2010
საკრედიტო და სადებეტო ბარათებით განხორციელებულ ოპერაციებზე გადასახდელი თანხები	188	212
ფულადი გადარიცხვების ოპერაციების ანგარიშსწორება	175	362
სხვა დარიცხული ვალდებულებები	-	954
სხვა ფინანსური აქტივები	309	-
	672	1,528

აკრძალული ფულადი სახსრები წარმოადგენს ნაშთებს საკორესპონტო ანგარიშებზე ქართულ ბანკებში, სს თი ბი სი ბანკში და სს ლიბერთი ბანკში განთავსებული ბანკის მიერ, როგორც გარანტიები იმ ტრანსაქციებისათვის, რომლებიც განხორციელდა ბანკი კლიენტების მიერ და დამუშავებული იქნა შესაბამისი პარტნიორი ბანკების მიერ.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს:

	2011	2010
ბარტერული შეთანხმებები	382	-
სადებიტო და საკრედიტო ბარათით გადასახდელი	355	382
ანგარიშსწორებები ფულადი გადარიცხვის ოპერაციებზე	209	291
ფინანსური ვალდებულებები მიღებული მომსახურებებიდან	178	-
სხვა დარიცხული ვალდებულებები	159	122
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,283	795

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც გატარებულია, როგორც აქტივები და ვალდებულებები, თავიანთ თეორიულ თანხებთან ერთად. თეორიული თანხა, გატარებული როგორც საერთო, არის წარმოებულის საბაზო აქტივი, ორიენტირებული განაკვეთი ან ინდექსი და წარმოადგენს საფუძველს, რმლოს მიხედვითაც განისაზღვრება ცვლილებები წარმოებულების ღირებულებაში. თეორიული თანხები მიუთითებენ ტრანსაქციების მოცულობას, რასაც ადგილი ჰქონდა წლის ბოლოსათვის და არ მიუთითებენ საკრედიტო რისკს.

	2011		2010	
	თეორიული თანხა	სამართლიანი ღირებულების ვალდებულებები	თეორიული თანხა	სამართლიანი ღირებულების აქტივი
ვალუტის გაცვლის კონტრაქტები				
ბარტერები-სა შინაო	90,294	382	49,869	954
მთლიანი წარმოებული აქტივები/ვალდებულებები		382		954

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივები მოიცავს:

	2011	2010
დასაკუთრებული ქონება	4,335	1,577
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	126	98
წინასწარ გადახდები გაწეული მომსახურებისათვის	109	321
სხვა	179	25
სულ სხვა აქტივები	4,749	2,021

სესხის სანაცვლო დასაკუთრებული ქონება წარმოადგენს აქტივს უძრავი ქონების სახით, რომელსაც იძენს ბანკი ვადაგადაცილებული სესხების დაფარვის სანაცვლოდ. ბანკი მომავალში აპირებს ამ აქტივების გაყიდვას. აქტივები არ აკმაყოფილებს გასაყიდად გამზადებული გრძელვადიანი აქტივების განსაზღვრებას

(ათასი ლარი)

და მათი კლასიფიცირება ხდება, როგორც მარაგები ბასს 2-ის შესაბამისად. ეს აქტივები თავდაპირველად აღირიცხა სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის მომენტში.

სხვა ვალდებულებები შედგება:

	2011	2010
კომუნალურ ორგანიზაციებზე გადასახდელი ვალდებულებები	26	31
გადასახდელი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	-	4
სხვა	33	18
სულ სხვა ვალდებულებები	59	53

14. ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე შედგება 279 ლარის მოკლევადიანი განთავსებებისაგან ქართულ ბანკებში. 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,801 ლარი წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკისადმი გადასახდელ მოკლევადიან სესხს მოკლევადიან სესხს.

15. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

ვალდებულებები კლიენტების წინაშე შედგება:

	2011	2010
მიმდინარე ანგარიშები	146,813	128,497
ვალდებულებები დეპოზიტები	71,845	46,874
სულ ვალდებულებები კლიენტების წინაშე	218,658	175,371
გარანტიების უზრუნველყოფის სახით ფლობილი ნაღდი ფული	(1,383)	(264)

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები კლიენტების წინაშე შეადგენდა 120,239 ლარს (55%), ათი უმსხვილესი კლიენტისადმი შეადგენდა 88, 746 ლარს (50.6%).

ვალდებულებები კლიენტის წინაშე შეიცავს კლიენტის შემდეგ ტიპებს:

	2011	2010
